



საქართველოს საკრებო რუსულ პერიოდინაზე 9 ტურში

საქართველოს საკრებო რუსულ პერიოდინაზე

ფორსა აბრეზ! ვისაც ღენთი ჰქონდა, ის აფეთქდა

თბილისი. 26 სექტემბერი. 17 საათი. შედეგი: 3:0 (ტყელობა 3:000) თბილისი 1:0 კოლხეთი

თბილისი: ნაჭყვია, მემარნიშვილი, სიდაშვილი, მიქიაშვილი, ელიაშვილი, გ. ნუბ. ქელიძე, ლოლაძე, გოგიტა გოგუა (დათაძე 51), აფციაური (ხოჯაბა 58), მიკუჩაძე, დავითაშვილი, სათადარიგო: ივარდია; გენაძე, ბაქრაძე, გ. ნოდ. ქელიძე, გოგიტაძე, მწვერვალი: გიორგი დევდარიანი

რეზამ“ ოსტატურად გადაგზავნა ბურთი ფოთელთა კარში.

„კოლხეთი“ გამგებულ გოლს არ შეურდობდა და გათანაბრება სცადა. ტაიპის მიწურულს თამაში გათანაბრდა, ფოთელებმა მცირე ტერიტორიულ უპირატესობასაც კი მაღწიეს.

ხელსაყრელ პოზიციებში მოიგდო ბურთი მიხეილ თავაძემ, მაგრამ დარტყმა დააყოვნა და ხიფათიც გაუცნებელდა რევაზ ნაჭყვიაძის კართან.

შემდეგ ზაველ ლაღანიძეს მართებდა საფარში საგვარძლოს დარტყმა, მაგრამ ბევრით ააცილა „თბილისის“ კარს. მიზანმა უმტყუნა ვალერი გაგუასაც, როცა დასარტყმელ სიტუაციაში იჩქარა.

შესვენების შემდეგ თანაბარი თამაში წაივდა. ჯარიმების ხეირიანად შესრულება არა და არ წაუვიდა ლაღანიძეს, ფოთელები რაღაცას კი ცდილობდნენ, მაგრამ თითქოს ღენთის მარაგი შემოაკლდათ — ვერ ფეთქებდნენ.

„თბილისის“ კარგად წაადგა დავით დათვაძის შემოსვლა, ვინც საზრიანად, მწვავედ მოქმედებდა, „თბილისის“ კონტრშეტევებს კარგად უძღვებოდა.

ანგარიშის გაზრდის კარგი შანსი განიხილა გოჩა ხოჯაბაძემ, ვერ იყოჩაღა ჭელიძემაც — მან პირისპირ შეყრილ ბათიაშვილს ვერ აჯობა. კვლავაც მოუღელელი, აქტიური იყო დავითაშვილი, მაგრამ ხშირად თამაშგარეშე რჩებოდა და როცა გვარდით მსაჯს შეეკამათა, არბიტრს ყვირთული ბარათიც დასტყუა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რუსეთთან II ოქტომბრის შესარჩევი მატჩისთვის 13 ლეგიონერი გამოიძახა.

13 ფეხბურთელს შორის უცხო არააინაა, თუმც არის ერთი, ვისი სანაკრებო დებიუტიც შესაძლოა სწორედ მოსკოვში შედგეს — ლევან კორღალიძე რიგის „სკონტოს“ წევრია და ის ეროვნულ გუნდში პირველად აღბანეთთან მატჩებისთვის გამოიძახეს. აღბანელებთანვე გამოტოვებული თამაშების შემდეგ ნაკრებს უბრუნდება იტალიური „მილანის“ მცველი კახა კალაძე, რომელიც საზარდულის ტრავმამ ერთი თვით დაასვენა. კახამ ორიოდ დღეა ვარჯიში განახლდა და მიუხედავად იმისა, რომ II ოქტომბრისთვის, აღბათ, ფორმის აღდგენას ვერ მოასწრებს, რუსეთთან მატჩისთვის ეროვნულ გუნდს დიდი ძალა შეემატება.

შვერთნელ მერაბ ჟორდანიას სიაში არიან რუსეთში მოთამაშე მიხეილ აშვეთია, მალხაზ ასათიანი და მოსკოვის „სპარტაკში“ ახლახან გადასული მეკარე გიორგი ლომია. მიღიანად კი საქართველოს ნაკრების სარუსეთო „ლეგიონი“ ასეთია: ლევან კობიაშვილი („შალკე“, გერმანია), კახა კალაძე („მილანი“, იტალია), გიორგი ნემსაძე („დინამო“, შოტლანდია), შოთა არველაძე, ზურაბ ხაზანიშვილი (ორივე „რეინგერსი“, შოტლანდია), ლევან კორღალიძე („სკონტო“, ლატვია), ალექსანდრე იაშვილი, ლევან ციციტიშვილი (ორივე „ფრაიბურგი“, გერმანია), მიხეილ აშვეთია, მალხაზ ასათიანი (ორივე „ლოკომოტივი“, რუსეთი), გიორგი ლომია („სპარტაკი, რუსეთი), გოჩა ჯამარაული, გიორგი დემეტრაძე (ორივე „მეტალურგი“, დონეცკი, უკრაინა).


ჟორდანიას სიაში არ არის გიორგი ქინქლაძე, ამ ეტაპზე მისი გამოკმახებლობის მიზეზი სათამაშო პრაქტიკის არქონაა. ქინქლაძე დღემდე უგუნდოდა და მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. მართა-

ლია, ძირითად შემადგენლობაში არ ჩანს, თუმც მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლუბლებში თამაში არ აკლია მალხაზ ასათიანს და როცა საქმე ამ ორ ფეხბურთელს შორის არჩევანზე მიდგა, მთავარი, სწორედ მცირე, მაგრამ მაინც ასათიანის სათამაშო პრაქტიკა აღმოჩნდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელები რუსეთთან მატჩისთვის გამოიძახებულ სრულ შემადგენლობას უახლოეს დღეებში დაასახელებენ. უკვე ჩამოთვლილი ლეგიონერები დანარჩენებს პირდაპირ მოსკოვში შეურთდებიან. თბილისიდან კი გუნდი 9 ოქტომბერს გაემგზავრება.

საქართველოს ნაკრები მოსკოვის გარეუბანში მდებარე ვოლფ-კლუბის სასტუმრო „მერიდიანში“ დაბინავდება და ყველა მხახველს მოწყვეტილი იქნება. ახალგაზრდული გუნდი კი იზმაილოვოს საპორტული კომპლექსის სასტუმროში იცხოვრებს.

კობა ინასარიძე



გიორგი ქინქლაძე

დავით თავართიმლაძე

ფოთის „კოლხეთისგან“ მეტს ველოდით — ზღვისპირელებს ბოლო მატჩები წაეგოთ და „შევარდენზე“ აშკარა ფავორიტად „თბილისი“ სულაც არ მიიჩნეოდა, მაგრამ მასპინძლებმა იძალეს — ფოთელებს ერთი საგოლე მომენტიც კი არ შეუქმნიათ. გასასამართლებელ მიზეზად ის ვერ გამოდგება, რომ „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი ვია ტყეშუაშვილი დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნიდან უსჯერდა მატჩს — უბრა-

ლოდ, „კოლხეთმა“ თამაში ჩააგლო.

შეხვედრა თბილისელთა იერიშებით დაიწყო. აქტიურობდნენ თორნიკე აფციაური, გოგიტა გოგუა და რაღა თქმა უნდა, სულიკო დავითაშვილი — „აბრეზა“, მასპინძელთა მთავარი შემტევი, გუნდში ცეცხლის დანმთები გახლდათ — გოლის გატანაც სწორედ მას ეკუთვნოდა.

მოედნის ცენტრში „კოლხეთის“ შეტევა კოკა მიკუჩაძემ ჩაჭრა, მერე ჭელიძემ გაუჭრა ჩინებული პასი დავითაშვილს — ზურაბ ბათიაშვილთან პირისპირ გასულმა „აბ-

სასიკვდილო ჩხვლეტა

თბილისი. 26 სექტემბერი. 17 საათი. შედეგი: 3:0 (ტყელობა 8:000) მერსხალი 0:1 ვიზ ჯორჯია

მერსხალი: გია გოგუა, კობაური, კვიციანი, მ. მგაფანიძე, ქალიაშვილი, ჩოჩია (სიამაშვილი 66), ბართია (ასკურაბა 81), ქინქლაძე, მებონია (გრიგორიანი 80), კალაძე, გაბედავა, სათადარიგო: როსტომ, გ. ნიჭიანიძე, მწვერვალი: სერგო გაბედავა

გვანსენა თავი. მან დეკანოსიძის გრძელი გადაცემა ტექნიკურად დაამუშავა და დიაგონალზე ლამის მთელი საჯარიმო სწრაფად გადასერა. ბოლოს მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარშიც დაარტყა, თუმც სუსტად და ბურთს კარის ხაზზე კვიციანი მიუსწრო.

ოზურგეთელთა კოზირი მოჭარბებული მონდობა და თავდადება. ამან ისინი შესვენების შემდეგ კიდევ 15 წუთი ტოლ-სწორად ათამაშა მეტოქესთან, მერე კი ვიტელები მოედნის ბატონ-პატრონი შეიქმნენ და შეტევათა ეპიცენტრმა გოგუას კართან გადაინაცვლა.

ბოლო ათი წუთი „ვიტ ჯორჯია“ გამუდმებით უტედა, თავს არ ზოგავდა, თუმც საიმედოდ დაცულ მეტოქესთან ვერაფერს ხეირობდა. როცა ყველას უეჭველი ფრე ეკონა, მაშინ მოიქნია მასპინძელთა სამწუხაროდ ფეხი გოჩაშვილმა და უშიშვნელოვანესი სამი ქულით საკუთარი გუნდი გააღიდგრა.

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Shots, etc. Rows include ვიზ ჯორჯია, დინამო, დილა, სიონი, ტორპედო, ლოკომოტივი, თბილისი, კოლხეთი, ბათუმი, მერსხალი, მცხეთა, სპარტაკი.

მონა პანაშვილი ოზურგეთიდან

...მსაჯის დამატებული პირველი წუთი ის-ის იყო დაიწყო, საჯარიმოს მისაღვომებთან ვლადიმერ გოჩაშვილმა ბურთი რომ მოიხელთა, გაისწორა და კარშიც დაარტყა. ჰოდა, უგოლო ფრისკენ მიმავალი მატჩი გამარჯვებისაკენ წაიყვანა. შეცდნენ ოზურგეთელი მცველები და მეკარე პირველებმა ვეტერინარს ბურთის მიღება-დამუშავება აცადეს, გოგუამ კი მისგან უფრო ახლო კუთხეში დარტყმულ ბურთზე რეაგირება დააგვიანა.

სტადიონი გაირინდა, სტუმრებმა კი ისე გაიხარეს, მეტი რომ არ იქნება.

თავად მატჩი ცოცხლად და ერთგვარად არეულად დაიწყო. სანამ სტუმარ-მასპინძელმა თამაში დაა-

ულრესად მწვავე მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. ჭინჭარულმა ჩინებული პასით გაბედავას გაუჭრა, რომელიც ბურთისკენ კი დაიძრა, მაგრამ ისე ჩანდა, წინ გამოსულ მერსხალს ვერ დაასწრებდა. თუმც მან მაინც ივარგა, ბურთს ჭვინტი გაჭრა, მეკარესაც გაეცალა და მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში ზუსტად დაარტყა. ივარგა კობიაშვილმა, ვარდნაში კარის ხაზიდან ბურთი ძელს მიახეთქა, თავად კი კარში შევარდა.

იმტაზე მოსულმა მასპინძლებმა სამიოდ წუთში დააწიოკეს ვეტერინარები, ოღონდ ამ ეპიზოდში კალანდაის გადაცემა რივიანად ვერ დაიმორჩილა ჩიჩუამ და იმავე კობიაშვილმა შეძლო ხიფათის გაუგებლება.

სტუმრები გონს მალე მოვიდნენ და მე-20 წუთზე მარცვალაძემ შე-

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ მთავარი თემა თბილისის „დინამო“, ამ კლუბში შექმნილი ვითარება იყო.

ქვეყნის ჩემპიონების მმართველი დირექტორის ხელმძღვანელი ფაქსი ფეხბურთის ფედერაციაში გუშინვე გვიან მივიდა, დავით პეტრიაშვილმა ფედერაციის ხელმძღვანელობას კლუბის გადაწყვეტილება აცნობა: „დინამოს“ 21 ფეხბურთელი უდისციპლინობისთვის დისკვალიფიცირებულია 8 დეკემბრამდე ანუ ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე — ასეთი იყო „დინამოს“ ფედერაციაში გაგზავნილი წერილის არსი



ფეხბურთელი დინამოსი

# ფედერაციამ დინამოსი მანდილი ჩააბდო

ფედერაციაში შემოთღონ, ქართულ ფეხბურთში ეს უპრეცედენტო ფაქტი იყო. პროფესიული ლიგის სამეჯიბრო განყოფილებას საქმე გაურთულდა — შაბათს „მცხეთა“ — „დინამო“ დანიშნული, თბილისელებმა კი ყველა ფეხბურთელი დასაჯეს.

პროფლიგაში სიტყვა მივიდა, მცხეთაში „დინამო 2“ ითამაშებს, ოღონდ „დინამოს“ სახელით, იურიდიული ნორმების დასაცავად კი „დინამო 2“-ის გაუქმებაზე ითქვა. ასეთ შემთხვევაში „დინამო 2“ პირველ ლიგაში ადგილს დაკარგავდა, მისი ფეხბურთელები კი „დინამოს“ სახელით უმაღლესში ითამაშებდნენ.

ერთი გუშინწინდელი ამბავიც: მას შემდეგ, რაც ჯანყმა „დინამოში“ კულმინაციას უწია, კლუბის ხელმძღვანელობამ ბაზაზე სასწრაფოდ დაიბარა „დინამო 2“ — გუნდი მცხეთაში მატჩის წინ შეკრებაზე უნდა გადავიდეს. ორ-სამი საათის შემდეგ „დინამო 2“ უკანვე გაუშვეს. გუშინაც იგივე მოხდა, ოღონდ იმ დროს, როცა „დინამო 2“ ბაზაზე იყო, ფედერაციის პრეზიდენტის კაბინეტში 11 დინამოელი, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წევრები იხდნენ და მერაბ ჟორდანიას და ვალერი ჩოლარიას დარიგებას იმეხდნენ.

— დინამოელები ფედერაციაში მოვიწვიეთ. ისინი საქართველოს ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელები არიან და როგორც ფედერაციის ხელმძღვანელებმა თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, მათსა და კლუბს შორის დავაში კორექტულად ჩავრეულიყავით. ჩვენ ფეხბურთელებს მხოლოდ რჩევა მივეცით და ვთხოვეთ, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობას ერთხელაც შეხვედროდნენ და ვითარების

განსამუხტავად კომპრომისზე წასულიყვნენ. ვიმელოვნებ, პრობლემა მოგვარდება. თუ არადა, კლუბსა და ფეხბურთელებს შორის ურთიერთობის იურიდიულად გარჩევას მაშინ დაევიწყებთ, როცა ფეხბურთელები ფედერაციაში სარჩელს შემოიტანენ, ან ფეხბურთელები ან მათი ინტერესების დამცველი აგენტი თუ იურისტი. მსურს საქმე აქამდე არ მივიდეს. ისე კი, ვადასტურებ, „დინამოს“ წერილი 21 ფეხბურთელის 8 დეკემბრამდე დისკვალიფიკაციის თაობაზე ფედერაციაში შემოსულია — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ იქამდე, ვიდრე...

ნაკრების დინამოელები ფედერაციიდან დილმის ბაზისკენ გაეშურნენ. იქ მათ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და კლუბის სხვა ხელმძღვანელები დახვდნენ. შეხვედრა დაახლოებით ზუთ საათს გაგრძელდა. შედეგი: „დინამომ“ დასჯილ 21 ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მოუხსნა. მცხეთაში „დინამო“ ითამაშებს და არა „დინამო 2“. ეს ამბავი, ასევე ოფიციალურად, დავით პეტრიაშვილმა ფედერაციას რვა საათისთვის აცნობა. ფედერაციაშიც დამშვიდდნენ. პროფლიგას უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის ახალი საბუთების გაკეთება-დამოწმება „დინამო 2“-ის ფეხბურთელებისთვის აღარ დასჭირდა.

— კარგია, რომ „დინამოში“ შეთანხმდნენ და პრობლემა მოგვარდა. სხვა შემთხვევაში ქართული ფეხბურთი დაზარალებოდა — გვითხრა მოგვიანებით მერაბ ჟორდანიამ.

მაშ ასე, „დინამოში“ კონფლიქტი ჩაიფარცხა. კლუბი და ფეხბურთელები შეთანხმდნენ...

კობა ინასარიძე



ფედერაციის დირექტორი

# პეტრიაშვილმა კონფლიქტს ხელშეწყობი თამაშობა მოუწყო კონფიდენციალური სა-პითხვები ღარჩა

ყველაფერი დილმის ბაზაზე გამოკრული ერთი განცხადებით დაიწყო — „ყველა დინამოელი, ფეხბურთელიდან დაწყებული, მასაჟისტით დასრულებული, ეკრძალება პრესასთან ურთიერთობა“. ამ განცხადებით გაცხადდა, რომ „დინამოში“ სიტუაცია ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდა. მალე მდგომარეობა ფეხბურთელთა პროტესტმა დაძაბა — ითქვა, ხელფას-პრემიებს დროულად ვერ ვიღებთო. ამას ხელმძღვანელთა მწვავე რეაქცია მოჰყვა — „დინამოს“ მესვეურებმა ცხელ გულზე ერთბაშად 21 დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის სია შეადგინეს, მაგრამ გუშინდელი მოლაპარაკებისას ორმხრივ კომპრომისს მიაღწიეს. გადაწყდა — ყველა გუნდში დარჩება და თავის საქმეს გააკეთებს. კონფლიქტი, ერთი შეხედვით, მოგვარდა, თუმც საკითხავია, როდემდე და რამდენად გულწრფელია მხარეთა შეთანხმება.

აი, ასეთი ამბები ხდებოდა „დინამოში“, და საზოგადოებას ბევრი კითხვა ჰქონდა, თუმც ოფიციალური პასუხი მისთვის არავის მიუცია. ასეთი საქციელი ისეთივე მოულოდნელი გახლდათ, როგორც ერთი შეხედვით გამართულ-დაბალანსებულ „დინამოში“ ატეხილი სკანდალი. ამიტომაც გუშინ „დინამოს“ მმართველ დირექტორს **დ. პ. პეტრიაშვილს** ვესაუბრეთ, თუმც მისი ინტერვიუ არცთუ ამოწურავია. ეს კი, ვფიქრობთ, იმის მანიშნებელია, რომ **ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა**.

— რა ხდება „დინამოში“?

— ჩვეულებრივი პროცესი, რომელიც ყველა მხარედ, მაგრამ დილმის ბაზაზე ორგანიზაციაში შეიძლება მოხდეს.

— ამ „ჩვეულებრივმა პროცესმა“ ერთობ სკანდალური ვითარება შექმნა...

— ეს შესაძლოა იმანაც გამოიწვიოს, რომ კლუბის ყველა წევრს ოფიციალურად ავუკრძალეთ ურთიერთობა ურთიერთობა.

— ვეჭვობ, მიზეზი მხოლოდ ეს იყოს. პრობლემა უფრო ღრმაა. გადაწყვეტილება, რომ დინამოელებს ურთიერთობა ურთიერთობა აკრძალეთ, იმის მანიშნებელია, რომ კლუბში მართლაც სერიოზული სკანდალი მწიფდებოდა.

— პრობლემის მიზეზი ჩვენი რეაგირებაც იყო ფეხბურთელთა მხრიდან დისციპლინარულ დარღვევებზე.

— რა ფორმით დაარღვიეს ფეხბურთელებმა დისციპლინა?

— როგორც ხდება ხოლმე, ვარჯიშებზე დაგვიანებით, გამოუცხადებლობით...

— ხომ ითქვა, რომ მიზეზი ხელფას-პრემიების დაგვიანება იყო.

— მოთამაშეთა ანაზღაურება კონფიდენციალური საკითხია და უკომენტაროდ დავტოვებ.

— რატომ გაუჭირდა „დინამოს“ ფეხბურთელებისთვის კუთვნილის მიცემა?

— ზოგადად ხელფას-პრემიების დაგვიანება არცთუ უჩვეულო ამბავია, თუმც ეს ფაქტორი არ იყო მთავარი მიზეზი. უთანხმოება დისციპლინარული დარღვევების გამო წარმოიშვა.

— ერთბაშად 21 ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას აპირებდით და საამისოდ ფედერაციას მიმართეთ განცხადებით.

— ვადასტურებ, რომ ეს სიმართლეა, თუმც ანგარიში გავუწიეთ იმას, რომ 11 დინამოელი ეროვნული ნაკრების წევრია და ასეთი სასჯელი ქვეყნის უპირველეს გუნდს ზიანს მოუტანდა.

— მოგვარდა თუ არა კონფლიქტი და რაზე შეთანხმდნენ ფეხბურთელებთან?

— კონფლიქტი მოგვარებულია. თუმც ვთვლი, რომ ეს არ იყო კონფლიქტი, მო-



ფედერაციის დირექტორი

მხდარს უფრო გაუგებრობას დაკარქმევ. საბედნიეროდ, ყველაფერი დარეგულირებულია. ყველა აგრძელებს მუშაობას და შაბათს „დინამო“ ძირითადი ბირთვით ითამაშებს „მცხეთასთან“.

— გამორიცხავთ, რომ მსგავსი ვითარება კიდევ არ შეიქმნება „დინამოში“?

— ამის ალბათობაც კი პრაქტიკულად აღარ არსებობს. ვიმეორებ, ეს იყო ისეთი პროცესი, რომელიც ყველაზე შეიძლება მოხდეს. ჩვენ დიდი გეგმები და მიზნები გვაქვს. არ ვუვლისხმობ ჩემპიონატის მოგებას ან თასის აღებას, „დინამო“ უნდა იყოს მზარდი ჯანსაღი ორგანიზაცია. საამისოდ ყველა ღონეს ვიხმარ და ვერავინ შემიშლის ხელს ამის გაკეთებაში.

— ბადრი პატარკაციშვილმა თუ მიიღო მონაწილეობა ამ უსიამოვნო ვითარების გამოკვეებაში?

— ბედნიერი ვარ, რომ „დინამოს“ ისეთი კაცი ჰყავს პრეზიდენტად, ბადრი პატარკაციშვილი რომაა. მას ძალზე მნიშვნელოვანი ყოველდღიური საქმეები აქვს, თუმც დაწვრილებით იცის იმ მოვლენების შესახებ, რაც ამ დღეებში კლუბში მოხდა.

— ითქვა, რომ იგი შუშაკის გუნდიდან გაშვება ღრის ამბავია...

— იგი შუშაკი ჩამოყალიბებული პროფესიონალი მწვრთნელია. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა. შუშაკს ყველაწარად ეუწყობო ხელს. მას კლუბთან კონტრაქტი და მუშაობისთვის საჭირო პირობებიც აქვს.

— როდის იწურება შუშაკის საკონტრაქტო ვადა?

— ეს საკითხიც კონფიდენციალურია.

— თავად შუშაკს ხომ არ გამოუთქვამს გუნდიდან წასვლის სურვილი?

— იგი შუშაკს „დინამოსთან“ კონტრაქტი აკავშირებს. კონტრაქტი ვალდებულაა, ვალდებულაა — დისციპლინის ნაწილი. მხოლოდ სურვილებზე არ არის ბევრი რამ დამოკიდებული.

— ესე იგი, შუშაკს წასვლა სურს?

— იგი შუშაკი კონტრაქტით განსაზღვრული ვადით უხელმძღვანელებს თბილისის „დინამოს“.

ბაბა მანათლიანი



# გახსობიძეს ხუთი თითი ოთხ თაგაზად დაუჯდა გობა კი ორს ელოდა



გოგა გაბაშვილი

ლიათ და გოგა გაბაშვილის საქმის გარეგან აზრს გამო ვაჭიანურებულა.

მოგეხსენებათ, გაბაშვილი უფას შავ სიაში, 10 სექტემბერს ტირანაში, ალბანეთ — საქართველოს შესარჩევი მატჩისას მომხდარი ინციდენტისთვის მოხვდა. ფეხბურთელმა ჯერ სათადარიგოთა სკამზე იხსუბა, რასაც გაგრძელება ნამატჩევს გასახდელში მოჰყვა.

უფას სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი გადაწყვეტილება არ ეხება ფეხბურთელის საკლუბო კარიერას, ის პოლანდიურ „ტვენტეში“ თამაშს უპრობლემოდ გააგრძელებს. სანქცია მხოლოდ სანაკრებო მატჩებზე ვრცელდება, გაბაშვილი ეროვნული გუნდის ოთხ ოფიციალურ მატჩს გამოტოვებს. ფეხბურთელი გადაურჩა ფინანსურ სასჯელსაც.

— ჩვენი კარაუდით, უფას გაბაშვილს 3-5 მატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემდა. ასე რომ, მოულოდნელი არაფერი ყოფილა. უფას სადისციპლინო კომიტეტის ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა, ალბათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წერილმაც იქონია — ჩვენ უფას დროულად ვაცნობეთ, რომ გაბაშვილი სანაკრებო სიდიდან გამოყვანილია. უფამ ჩათვალა, რომ ფეხბურთელი ფედერაციას ისედაც დასჯილი ჰყავდა — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ვალერი ჩოლარაძე*.

უფას სანქციის შემდეგ პოლანდიაში დაზარალებულსაც დაუკავშირდით. *გოგა გაბაშვილი* დისციპლინარებისგან მსუბუქ სასჯელს ელოდა:

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე ბევრი იყო დამოკიდებული, მაგრამ, რადგანაც უფას ჩემი საკითხი სწორედ ფედერაციას და ნაკრების თავკაცთან კონფლიქტის გამო განიხილებოდა, ვფიქრობ, გადაწყვეტი ეს აღმოჩნდა ჩემთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც საქმარისი იქნებოდა. ნაკრებში ოთხი მატჩის გამოტოვება ძალიან ბევრია. გამოდის, ეროვნულ გუნდში ერთ წელს ვერ ვითამაშებ. რა გაეწყობა, კაცი ყველაფერს ჯიჯვია და ამ სასჯელს როგორმე გადავიტან.

გობა ინახარბიძე

უფას სადისციპლინო კომიტეტმა გოგა გაბაშვილის განაჩენი გუშინ გამოაცხადა — დისკვალიფიკაცია ოთხი სანაკრებო მატჩით.

ქართველი ფეხბურთელის საკითხი უფას ოთხშაბათს უნდა განეხილა, თუმც კი ევროპულ დისციპლინარებს ამ ჯერზე უჩვეულოდ ბევრი „კლიენტი“ ჰყო-

## თაგაზი მიწა, სხვა არაფერი სიომინი ასათიანზე მსპერიმენტებს ატარებს

მერაბიძე თემა, მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივი“ არ გამოჩინილა. იური სიომინმა უნიჭიერესი ქართველი ნახევარმცველი მთორე წრის სტარტზე, ყაზანის „რუბინთან“ საშინაო ფრის (!!) შემდეგ აითვალწუნა. იმ მატჩში ბოლო წუთზე გამგებული გოლი რკინიგზელებმა მოლიანად ასათიანს გადააბრალეს და ძირითადი შემადგენლობის კარიც მიუხურეს. არადა, მანამდე მალხაზმა II-ჯერ ითამაშა „ლოკომოტივი“ და ერთი გოლიც გაიტანა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა...

ერთი სიტყვით და ძალიან სამწუხაროდ, ასათიანი უცებ გაუჩინარდა. მისი ნიჭი რკინიგზელთა სათადარიგოთა სკამზე ნელ-ნელა იფერფლება. ჩნდება ათასი კითხვა და აზრი: მისი წასვლა ნაჩქარევი ხომ არ იყო... რატომ ვერ თამაშობს, იქნებ ჯობდა, შედარებით სუსტ გუნდში გადასულიყო... რუსეთში ის ვერ გაიხსნება...

ეს უკვე წელის ნაყვას ჰგავს. მომხდარს ველარაფერი შეცვლის. მალხაზს კი ამდენი ლოდინი მოებზრდა. მას თამაში უნდა. უნდა და სჭირდება კიდევ სხვაგვარად ასათიანი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ღიდი დანაკარგი იქნება დღევანდელი ქართული ფეხბურთისთვის...

და კიდევ. სიომინმა ქართველ ნახევარმცველს სათადარიგოთა სკამზე დასმა არ იკმარა და... „საინტერესო ექსპერიმენტშიც“ ჩართო: როგორია — ასათიანი დაცვის ცენტრში? პასუხს „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდის თამაშში ნახავთ.

ახლა კი იური სიომინის თანამემწეს ვლადიმერ ემტრეკოვს მოუკუსმინოთ. აი, რა კომენტარი გაუკეთა მან ასათიანის უთამაშებლობას:

— მალხაზი იმ 20-22 ფეხბურთელში შედის, რომლებიც ყოველი მატჩისთვის ემზადებიან. გავა თუ არა ის მოედანზე, სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული — გააჩნია, რა ძალის მოწინააღმდეგე გყავს

და თან როგორი ტაქტიკით გვიწევს თამაში. რადგან ის თადარიგშია, ესე იგი, ვენდობით. ჯერ კიდევ ბევრი თამაში გველის — პრემიერლიგა, თასი, ჩემპიონთა ლიგა... მას მანსი აუცილებლად ექნება.

ღრო კი უმოწყალოდ გარბის...


ბასა შალაგზირიძე



გოგა გაბაშვილი

შაბათს შოტლანდიური პრემიერლიგის მეშვიდე ტურია, სპეციალისტები დიდ ხმაურს არ უღიან, „სელტიკს“ „ჩილჩერნიანი“ ჰყავს გასათელი, „რეინჯერსს“ — „დანდი“. ალბათ ორივე მოიგებს და საამისოდ უფრო მეტი მანსი შინაურ „აიბროქსზე“ მოთამაშე „ჩაფრებისა“. „რეინჯერსს“ სანერვიულო არაფერი აქვს, უბოდიშოდ „გაბდღვინს“ „დანდისო“ — ბეჭედი დაჰკრეს სკოგმა მიმომხილველებმა, მაგრამ ერთი „ჩაფარი“ მაინც ნერვიულობს. ის კაცი ჩვენებური ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ. „ხიზანა“ შაბათს ყოფილ თანაგუნდელებს უმასპინძლებს. ზურას ადრევე ეთქვამს — ჩემი კარიერა როგორც უნდა წარიმართოს, „დანდის“ ყოველთვის გამორჩეული ადგილი ექნებაო.

ზურაბ ხიზანიშვილს გუშინ გლახგობში დაუკავშირდით ნავარჯიშებს



ზურაბ ხიზანიშვილი

## დანდი ხარ, ჩემი დარდი ხარ

— შაბათს „დანდი“ გვათ მეტოქედ, ეს მატჩი ალბათ გამორჩეული იქნება შენთვის.

— „დანდის“ მშობლიურ გუნდად ვთვლი. ამ კლუბთან ბევრი მოგონება მაკავშირებს. დანდის მემკობრებიც შევიძინე და გამოვიტყდებით, რაღაცნაირად აღვლევებული ვარ შაბათის მატჩით. თუმც ფეხბურთი პროფესიონალების სპორტია, მე რეინჯერსელი ვარ და მეტოქის პატივისცემის და ბრძოლის ყინის გარდა არაფერი გამყვება მოედანზე.

— „დანდი“ ოთხშაბათს უფას თასზე „პერუჯას“ უმასპინძლა, თუნახე ეს მატჩი?

— რა თქმა უნდა, ენახე დანდელთა გულშემატკივარი ვარ და შინ რა გამაჩერებდა, ბოლომდე ვუქომაგე ყოფილ გუნდს.

— როგორი თამაში იყო?

— „პერუჯა“ კლასით და გამოცდილებით „დანდის“ აღემატება, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მასპინძლებს უნდა მოეგოთ. ცოცხალი, თვალსაყვირო თამაში გამოვიდა. ანგარიში არ ასახავს რეალობას. „პერუჯამ“ მოიგო, მაგრამ ამის გაკეთება „დანდისაც“ შეეძლო. მასპინძლებმა 3-4 ისეთი საგოლე მომენტი გააფუჭეს, ასპროცენტაინი რომ ეთქმის.

— შოტლანდიაში ფიქრობენ, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ „რეინჯერსი“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს, რადგან ვარაუდობენ, რომ ისედაც იოლად გაუსწორდებით „დანდის“ —

— „დანდისთან“ სამატჩო შემადგენლობა ვერ არ გამოცხადებულა, თუმც ვფიქრობ, გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშებთ, რად-

გან ლიგაში მართლაც რთული შეხვედრა გველის სტუმრად „პანათინაიკოსთან“. მოკლედ, ჯერ ისიც არ არის გადაწყვეტილი, ვითამაშებ თუ არა შაბათს. თუმც, თუ მოედანზე გასვლა მომიხდა, თქმა არ უნდა, თავს დავდებ და ნამატჩევს ჩავეხუტები ყოფილ თანაგუნდელებს.

— საამატჩოდ „რეინჯერსში“ ყველა ჯანზეა?

— ლე ბური გვაკლია ისევ და მას აესტრალიელი მცველი კრეიგ მურიც მიემატა, თუმც უამათოდაც არ უნდა გაგვიჭირდეს არც „დანდისთან“ და არც „პანათინაიკოსთან“.

— ბერნებთან სტუმრად თამაში ყველასთვის რთულია, რეალურია თქვენი ათენში წარმატება?

— რატომაც არა, დიდი მოტივაცია გვაქვს და ბოლომდე ვიბრძობლებოთ. პო, მართლა, გაიფე თბილისის „დინამოში“ რაღაც ხდება.

— სკანდალია. კონფლიქტია ფეხბურთელებს და კლუბის ხელმძღვანელებს შორის.

— რატომ. რა მიზეზით?

— ბოლომდე ჯერაც არაფერია გარკვეული.

— როდის დაწყნარდება თბილისში სიტუაცია? ყველა სფეროში არეულობა და სკანდალებია...

— ამ მხრივ შოტლანდიაში დასვენებული იქნება...

— რა თქმა უნდა. საფიქრალი არაფერზე მაქვს მხოლოდ ვარჯიში და თამაშისთვის სამზადისი. თუმც ისე არ გამოვიოთ, თითქოს საქართველოში რაც ხდება, არ მალელებს. კეკელო, „დინამოს“ ამბები ქართულ ფეხბურთს და ეროვნულ ნაკრებს სასიკეთოდ წაადგეს.

ბაბა კვანთალიანი

მომ ახვალდიანი ლონდონიდან

საშინელი სამსჯავრო წმინდა პატრიარქის გზა არსენ მამაბიანის მიხედვით

დვიდ სიმენი ძალიან დაბეზრდა. ეს ადრეც ეტყობოდა, მაგრამ ბოლო კვირას განსაკუთრებით დაეტყვა გასულ კვირას სიმენი 40 წლის გახდა და „მანჩესტერ სიტის“, რომლის კარის სახელოვესაც ახლა დგას, კინაღამ ორი თამაში წააგებინა.

პრემიერლიგის და უეფას თასის მატჩებში ხნოვანი მეკარე ისე ირჯებოდა, თითქოს ბოლო 40 წელიწადს არ მდგარიყოს კარში.

მაგრამ ამ დღეებში დევიდ სიმენი სხვა რამის გამოც გაიხსენეს.

13 წლის წინათ, ოქტომბერში, „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ თამაშის დროს ფეხბურთელთა შორის თვალშეუდგამი, ნახევარწუთიანი ჩხუბი ატყდა, რომელშიაც ოცდაერთი ფეხბურთელი მონაწილეობდა. ჩხუბში არ ჩაერია მხოლოდ დევიდ სიმენი, რომელიც, „მეთოფეთა“ კარში იდგა.

ფეხბურთის ასოციაციამ მაშინ გვარიანი სიმკაცრე გამოიჩინა. ფეხბურთელთა დასჯის გარდა, გუნდებიც დასაჯა: სტუმრებს ორი, მასპინძლებს კი ერთი ქულა ჩამოაკლო. მაშინ ამ მატჩის რეპორტაჟს ლამის მთელი მსოფლიო უცქერდა.

გასულ კვირა დღესაც ასე იყო: „მანჩესტერ“ — „არსენალს“ ათეულ მილიონობით ადამიანი უყურებდა. იქ რაც მოხდა, ყველამ იხილა



არც არსენ ვენგერი (მარცხნივ) ყოფილა მამა აბრამის ბატკანი

და ახლა, ფეხბურთის ასოციაცია გვარიან სიმკაცრეს გამოიჩინეს. არ მართლდება ალექს ფერგუსონის ნათქვამი, „მეთოფეებს“ ასოციაცი-აში ლმობიერად ექცევიან, იმიტომ, რომ მათი ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტიც არისო.

რომან აბრამოვიც გერპარდ აიგნერმა „ჩელსი“ დაუწუნა



აბრამოვიჩმა ფული დასძრა

„ჩაქსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი, რომელიც რუსეთში თავის უდიდეს წილებს ყიდის და თვალის დასაველეთში ცხოვრებისკენ უჭირავს, ჰოკეის კანადური გუნდის, „კანკუვერ კენაკის“ შესყიდვაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

„კანკუვერის“ გამო წამოწყებული მოლაპარაკებები იმის კიდევ ერთი ნიშანია, რომ აბრამოვიჩი, სხვაგვარიანად კი მისტერ ჩელსკი თანდათან შორდება რუსეთს და სავარაუდოდ ბრიტანეთში დასახლება, სადაც საკადრის უძრავ-მოდრავ ქონებას ფლობს.

ამასწინათ გახშირდა, რომ აბრამოვიჩმა თავისი წილები გაყიდა ალუმინის უდიდეს საწარმო რუსულში, აეროფლოტსა და სბინეფტში. იმასაც ამბობენ, რომ თავის ფულს აბრამოვიჩი თანდათან გადაქაჩავს რუსეთიდან, რადგან იქ ილიგარქებს მეტად აწუხებს მთავრობა.

რუსი პოლიტიკური ანალიტიკოსი სერგეი მარკოვი ამბობს: „ის არის ბიჭი, რომელსაც გართობა სწყურია. ახლა მთელი თავისი ფული ხელში მოიგდო და ნაოცნებარი სათამაშოების ყიდვა უნდა.“

აბრამოვიჩის ქონება ამჟამად 8,2 მილიარდ გირვანქას შეადგენს. რაღა თქმა უნდა, ყველას არ მოსწონს მისი სპორტში მისვლის და

ირაკლი ბაგჩყალიძე

რი სიტყვებით მონაწილეობდნენ თამაშის დამთავრებისთანავე ატეხილ შუხურში, რომლის დროსაც „მეთოფენი“ რუდ ვან ნისტელროის, ვითარცა პენალტის ამცილებელ სიმულანტს მიესიენ და არაკაცად დასვეს. ექვსი მამაცი „მეთოფე“ ძი-აკაც მარტინ კოუნის თამალობით ნაირგვარი პუნქტების დარღვევაშია მხილებული. ძიაკაცი, პატრიკ ვიერა, რეი პარლოუ, ლორანი, იენს ლემანი და ეშლი კოული ვგუფურად და ცალ-ცალკე აგებენ პასუხს.

საქვ მეტად სერიოზულადაა. ვგებ ასოციაცია ქულების ჩამოკლებაზეც კი წავიდეს. „არსენალი“ წითელი ბარათების მეფედაა აღიარებული პრემიერლიგაში. იმ კვირას გაძევებულ ვიერას „არსენალში“ თამაშისას ცხრა წითელი მოგროვებია, მაგრამ ესეც არ არის მთავარი.

ასოციაცია მიანიშნებს, რომ „მეთოფეთა“ უფროსობა არასოდეს ამტყუნებს თავის ფეხბურთელებს და ამით მათ ძალადობრივ მანერას უჭერს მხარს.

გაზეთებმა ამოქექეს არსენ ვენგერის ყველა კომენტარი ვიერას ყველა გაძევებაზე და ამ კომენტარებს დაცინივით უწოდეს წმინდა პატრიკის გზა არსენ მემატიანის მიხედვით. ყველა კომენტარში ვენგერი ყველას ამტყუნებს თავისი ფეხბურთელის გარდა და ერთგან იმასაც ამბობს, აგრესია მისი თამაშის ნაწილიაო.

ასოციაცია ძალიან გააღიზიანა ვენგერის თამაშის შეზღვევა კომენტარებმა, რომლებზეც, მაქ, ყველაფერი ვან ნისტელროის გადააბრა-ლა, თავის ფეხბურთელთა ხულიგნობაზე კი არაფერი უთქვამს. მართალია, „არსენალმა“ ამ კვირაში თავზე ნატრის წამყრელი განცხადება გააკეთა და კლუბის თავმჯდომარემ, პიტერ ჰილვეუდმაც თავის მოჩუბარ მოთამაშეებს სულელე-ბი უწოდა, მაგრამ ვენგერი დუმდა.

ამას ისიც ერთვის, რომ ამ კვირაში გაყიდვაში გამოდის სოლ კემპბელის ავტობიოგრაფიული დივიდი, სადაც ის სიმწრით იგონებს თავის აპრილიდან მოყოლებულ გაძევებებს და ასოციაციის სამსჯავროს არცთუ კეთილად მოიხსენიებს.

ვენგერი, რომელიც ქალაქელ ინტელექტუალად და რბილ კაცად აღიქმება ცხვირწითელა და მოჯავლანე ფერტიუსონთან შედარებით, ახლა გამაფრებელი ინტერესის საგანი ხდება. ტომით ის გერმანიის მოსახლვერე ალზასიური სოფელიდანაა და მედიამ ამ სოფლის გუნდის თავაკაცოც კი გამოჩხრიკა, რომელიც ამბობს, ახალგაზრდობაში ბრაზიანი ნახევარმცველი და კაი ვინების მოყვარეც იყო.


ასოციაციის ხელთა აქვს მსავს სტივ ბენეტის რაპორტი და მრავალწახნაგოვანი ვიდეოჩანაწერები, ასე რომ, დანდობა არ იქნება. მაგალითად, ვიგზსა და რონალდოს შეუფერებელი ხერხებით თავდაცვა ელებათ ბრალად.

მასშობა, რომელიც რადანას ნიშნავს

დევიდ ბექემის ავტობიოგრაფიული წიგნი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მალაზიები არ გაიყიდება, არადა წიგნი, რომელსაც MY SIDE ჰქვია, ავტო უკვე ორი კვირაა ბესტსელერთა შორის ლიდერობს.

„პარპერკოლინის“ პრეს ატაშემ განაცხადა: „გამაოგნებელი გადაწყვეტილებაა, 70 ათას ფანს მათი ერთ-ერთი კრბის წიგნის ყიდვაში უშლიან ხელს.“


რა წერია ასეთი ანტიმანჩესტერული MY SIDE-ში? ალბათ ის, რომ 28 წლის ბექემის აზრით, მისი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლა



მწერთნელის, სერ ალექს ფერგუსონის მოწყობილი იყო. კიდევ ინგლისის ნაკრუბის კაპიტანს „თაუმი ბუცის“ ცნობილი ინციდენტი თავისებურად აქვს მოყოლილი, არადა, წიგნი უკვე 184 ათასმა ადამიანმა იყიდა. საინტერესოა, რომ ინგლისის სხვადასხვა ქალაქებში შშობლიური ენის მასწავლებლებმა MY SIDE-ის საშუალებით ზარმაც ბიჭებს წიგნის კითხვა აიძულეს.

ხოლო, სანამ ონავარი ბავშვები ბექემის ამბებს კითხულობენ, თავად დევიდი და მისი მეუღლე ვიქტორია მადრიდში ხელიხელჩაკიდებულნი რომანტიკულად ვაზშობენ — ამით წყვილი ხაზს უსვამს, რომ ჭორი, თითქოს ესპანეთში დასახლებამ ცოლ-ქმარს პრობლემები შეუქმნა, ტყუილია. ბექემ-ადამსა უბან სალამანკაში, ხუთვარსკვლავიან რესტორანში ივანშმა, რის შემდეგაც, ანუ შუალამის მერე დევიდმა მძლოლს მადრიდის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება სიხოვა.

მეორე დღეს ვიქტორია LYCRA BRITISH STYLE-ის დაჯილდოვების ცერემონიაზე დასასწრებად ლონდონს გაეშურა, ხოლო დევიდი ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მადრიდში დარჩა.



პაპუნა კელია

# იტალია

კავუნა  
კალია



ობაფემი მარტინსი

## ტური — დარი დური

| IV ტური            |  |
|--------------------|--|
| დღეს               |  |
| რაჰონა — იუვენტუსი |  |
| უდინეზა — ინტერი   |  |
| ხვალ               |  |
| პიველი — პარმა     |  |
| პილანო — ლაციო     |  |
| პოლიანა — ბოლონია  |  |
| პარმა — სიენა      |  |
| რომა — ანკონა      |  |
| სამპდორია — ბრეშა  |  |

| სადღეისო პიტიარება |                |
|--------------------|----------------|
| რომა               | 3 2 1 0 9:3 7  |
| იუვენტუსი          | 3 2 1 0 9:4 7  |
| პარმა              | 3 2 1 0 8:4 7  |
| მილანი             | 3 2 1 0 5:2 7  |
| ინტერი             | 3 2 1 0 3:0 7  |
| ლაციო              | 3 2 0 1 8:5 6  |
| სიენა              | 3 1 1 1 6:3 4  |
| ბოლონია            | 3 1 1 1 5:4 4  |
| კიევი              | 3 1 1 1 4:4 4  |
| რეჯინა             | 3 0 3 0 7:7 3  |
| ლენე               | 3 1 0 2 5:7 3  |
| უდინეზა            | 3 1 0 2 2:4 3  |
| სამპდორია          | 3 0 2 1 3:4 2  |
| პერუჯა             | 3 0 2 1 3:6 2  |
| ბრეშა              | 3 0 2 1 5:10 2 |
| მოდენა             | 3 0 1 2 1:4 1  |
| ანკონა             | 3 0 1 2 2:6 1  |
| ემპოლი             | 3 0 1 2 2:10 1 |

„ინტერი“ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს დღეს გამოცდა ელის, უდინეზი აქვს თამაში. „ინტერი“ — გთხოვთ ცხრილს დახედოთ — დაუმარცხებელია და სერია A-ს სხვა ლიდერებთან შედარებით კერკეტ მეტოქეს ზედება, ანუ დარჩება თუ არა დაუმარცხებელი, სანახავია. „უდინეზის“ მეექვსეობას გასულ სეზონში ხომ არავინ ელოდა, მაგრამ უდინელებმა უეფას თასზე გამსვლელი ადგილი მოიპოვეს და ევროთასზე მოღვაწეობა ოთხშაბათს ზალცბურგში 1:0 მოგებით დაიწყეს.

კუპერით დავიწყეთ... არგენტინელი სპეციალისტი ბოლო ორ ჩემპიონატში სკუდეტოს გარეშე დარჩა და ამიტომ გამუდმებული კრიტიკის ობიექტია. სხვა საქმეა, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების პირველ ტურში ლონდონში ძალიან ეფექტურად დაამარცხა „არსენალი“ (3:0) და ქომაგებს გული მოუღობო, თუმცა იმ გამარჯვების მერეც, სერია A-ში დაბრუნებულმა იქ ახალაღზევებულ „სამპდორიასთან“ მხოლოდ და მხოლოდ 0:0 ითამაშა.

„იტალიაში მოგება გაცილებით ძნელია,

— აი, ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა პოლანდელ ენდი ვან დერ მეიდეს, რომელიც მილანში ახალჩასულია — იმ მეტოქეების წინააღმდეგ, რომლებიც ტექნიკურად თამაშობენ, ჩვენ კარგად ვმუშაობთ, ხოლო მათ წინააღმდეგ, ვინც იქეთ არ გაძლევს განძრევის საშუალებას, ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ მოქმედება“.

ახლა სტატისტიკა მოვიშველით: ბოლო ოთხ შეხვედრაში „უდინეზი“, მშობლიურ „სტადიო ფრიულიზე“ სამჯერ მოუგო „შავლურჯებს“ სტუმარს მილანიდან. დღეს „შავლურჯების“ თავდასხმაში არგენტინელი ხულო კრუზი და ნიგერიელი ობაფემი მარტინსი იქნებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობილ იტალიელ ვარსკვლავს, კრისტიან ვიერის ნატკენი ფეხი ისევ აწუხებს. „უდინეზის“ სეველა და დარდი ჩილელი გამოთამაშების, დავიდ პიზაროს ამბავია, ითამაშებს მილანელებთან თუ ვერა, ამ სიტყვების ფურცელზე გამოყვანის მომენტში უცნობი იყო.

... მილანს ვახსენებთ და ქალაქის სენია გუნდზე არაფერი გვითქვამს — „მილანი“ „სან სიროზე“ „ლენეს“ მასპინძლობს. შევახსენებთ, რომ ამბიციურმა „შავ-წითლებმა“ წინა ტურში პერუჯაში ვერ მოიგეს და ახლა სწორედ გამარჯვების იმედი აქვთ. კიდევ მოგეხსენებათ, „მილანს“ დაუმავდა ფილიპო ინზაგი — კბილი პერუჯას სტადიონის მინდორზე დატოვა, კისერი კი თან აქვს, მაგრამ ჯერჯერობით თავისი ნებასურვილი-სამებრ ვერ ამოძრავებს — რის გამოც კარლო ანჩელოტი, ალბათ, იონ დალ ტომასონს დასაქმავს. კახა კალაძე კვლავ მკურნალობს.

„იუვე“, რომელსაც მთელს მსოფლიოში უამრავი ქომაგი ჰყავს, რეჯო კალაბრიაში ალესანდრო დელ პიეროს გარეშე ლაშობს მოგებას. თამაში დღეს არის, 20 საათზე საქართველოს დროით. წინა ტურში დამაჯებულ დელ პიეროს მარჯო დი ვაიო შეცვლის და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს დარჩება „ბებერი ქალბატონის“ ძირითად შემადგენლობაში. გამოჯანმრთელდა ბრმანაწლავნაოპერაციები ფაბრიციო მიკოლიც.

„ლაციო“ ემპოლიში ხვალ საღამოს თამაშობს. რომაელებს სინიმა მიხაილოვიჩი უბრუნდება. „ლაციოს“ მოძულე რომაელებს „რომადან“ კი შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ცვლილება ვუპოვოთ: ოლივიე დაკურის მაგივრად დანიელ დე როსი რომ იხილოთ, ნუ გაიკვირვებთ — „რომა“ „ანკონას“ მასპინძლობს.

კავუნა კალია

# ინგლისი

კავუნა  
კალია


## პლიტის ტაქტიკა ახალი ტაქტიკა

| VII ტური                |  |
|-------------------------|--|
| დღეს                    |  |
| არსენალი — ნოუკასლი     |  |
| ბირმინგემი — პორტსმუთი  |  |
| ბოლტონი — შულფი         |  |
| ჩელსი — ასტონ ვილა      |  |
| ლესტერი — მანჩესტერი    |  |
| საუთჰემპტონი — მიდლსბრო |  |
| ხვალ                    |  |
| ბლექბერნი — შულფი       |  |
| ჩარლტონი — ლივერპული    |  |
| ვესტჰემი — ლიდსი        |  |
| სიტი — ტოტენჰემი        |  |


| სადღეისო პიტიარება |                 |
|--------------------|-----------------|
| არსენალი           | 6 4 2 0 11:3 14 |
| ჩელსი              | 5 4 1 0 15:6 13 |
| მანჩესტერი         | 6 4 1 1 9:2 13  |
| საუთჰემპტონი       | 6 3 3 0 8:3 12  |
| სიტი               | 6 3 2 1 14:8 11 |
| ლივერპული          | 6 3 2 1 9:4 11  |
| ბირმინგემი         | 5 3 2 0 6:2 11  |
| პორტსმუთი          | 6 2 3 1 9:5 9   |
| ბლექბერნი          | 6 2 2 2 14:12 8 |
| ფულემი             | 5 2 2 1 11:9 8  |
| ასტონ ვილა         | 6 2 1 3 7:10 7  |
| ბოლტონი            | 6 1 3 2 4:10 6  |
| ლესტერი            | 6 1 2 3 9:9 5   |
| ჩარლტონი           | 6 1 2 3 7:9 5   |
| ვესტჰემი           | 6 1 2 3 8:11 5  |
| ლიდსი              | 6 1 2 3 6:12 5  |
| მიდლსბრო           | 6 1 1 4 5:12 4  |
| ტოტენჰემი          | 6 1 1 4 5:12 4  |
| ნიუკასლი           | 5 0 3 2 5:7 3   |
| ვულვზი             | 6 0 1 5 1:17 1  |

ცხადია, რომ პრემიერლიგის მეშვიდე ტურის ანონსში არაფერს ვიტყვით „არსენალისა“ და „ნიუკასლის“ შეხვედრაზე, რაკი ეს მატჩი გუშინ გაიმართა. ტურის დანარჩენი შეხვედრები კი დღეს და ზვალა და მათზე შეჩერდეთ.

„ჩელსი“, რომელიც ამ მომენტისთვის პოტენციური ლიდერია, ანუ ყველაზე ცოტა ქულა აქვს დაკარგული, „ასტონ ვილას“ მასპინძლობს. დევიდ ოლირის გუნდმა შუა კვირაში დაბალდივიზიონელ „უიკონსს“ ხუთი გოლი კი გაუტანა, მაგრამ დიდძალი ფულის მხარჯავ „ჩელსისთან“ მატჩის წინ ეს ბევრსაც არაფერს ნიშნავს. ლონდონელებს საუკეთესო ფორმაში ჰყავთ ერნან კრესპო, ადრიან მუტუ, ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი და ეიდურ გუდიონსენი — ის ხალხი, რომლებმაც „ჩელსი“ პრემიერლიგის ყველაზე მეტი გოლის გამატან გუნდად აქციეს. მა-



ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი



დევიდ პლიტი

გრამ, ცხადია, „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ ოთხივენი არ ითამაშებენ. ისიც გასათვლი-სწინებელია, რომ „ჩელსის“ მომავალ კვირაში „ბეშიქთაშთან“ ელის სალიგო მატჩი და კა-ლაული რანიერი ზოგ ფეხბურთელს დას-კენებას უპირებს. ბირმინგემელთა იმედი კი კოლუმბიელ ფორვარდ ზუან პაბლო ანხელს უკავშირდება, რომელმაც შუა კვირაში ნახ-სენებ მატჩში ჰეთ ორიქი გაახერხა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც ამ დროისთვის „ჩელსის“ ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება, ლესტერს სტუმრობს. უკვე ვწერდით, რომ „იუნაიტედს“ ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკია-ერი საოპერაციო ჰყავს და სამი თვე ვეღარ ითამაშებს. ამას პოლ სქოულზის ტრავმაც დამატა, რომელიც, მართალია, ვარჯიშობს, მაგრამ სათამაშოდ მზად არ არის.

ისე, არც მასპინძლები არიან სრული შემაღვნილობით. ბრაიან დინის მყესი „ჩიროუსთან“ სათასო მატჩს შეეწირა და ჯეიმს სკოუტოვსკი ფეხს იტკივებს. „ჩარლტონ ატლეტიკს“, რომელმაც თასზე „ლოთონს“ პენალტებით მოუგო, დღეს კი „ლივერპულს“ მასპინძლობს, რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდა. ესენი არიან სამ-ხრეთაფრიკელი თავდასხმელი შონ ბარტ-ლეტი და მცველები, რიჩარდ რუფუსი და ჰერმან ჰრიდარსონი. ლივერპულელთა ბანაკში კი სრული წესრიგია.

ლონდონელთა იმ ნაწილის ყურადღება, რომლებიც „ტოტენჰემს“ ქომაგობენ, იმედი-ანად არის მიპყრობილი დევიდ პლიტისკენ. მოგეხსენებათ, მან გლენ ჰოდლი შეცვალა და პირველი გამარჯვება უკვე მოიპოვა — სათასო მატჩში „ქოვენთორი“ დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ პლიტმა ჰოდლის ამოჩე-ბული 3-5-2 ტაქტიკური სქემა 4-4-2 გან-ლაგებით შეცვალა. ფორვარდებად პლიტი ფრედერიკ კანოს და რობი კინს ათამაშებს.

ამ ტურში „ტოტენჰემს“ მძიმე გამოცდა ელის, მანჩესტერში „სიტის“ ხვდება. „სიტი“ ცხრილში მეხუთე ადგილზეა, უეფას თასზე კი „ლოკერენს“ 3:2 მოუგო. „სიტი“ ან მოიგება, ან არა. „ტოტენჰემთან“ მატჩში კი სიტელები თავდასხმაში რობი ფა-ულერს და ნიკოლა ანელკას ათამაშებენ. ერთ წვილზეც ვთქვათ. „საუთჰემპტონი“, რომელმაც სეზონი შესაშურად კარგად დაიწყო, „მიდლსბროს“ კარის აღებას ჯე-იმს ბიტისა და კევინ ფილიპსის მარჯვე დარტყმებით ეცდება. გუნდს დაუბრუნდა და-შავებული ნილ მაკკანტი, „ბორო“ კი იტა-ლიელ მასიმო მაკარონეს მოისაკლისებს.

# პერსონალია

დავით თავართქილაძე

| VII ტური                 |  |
|--------------------------|--|
| დღის                     |  |
| ვოლფსბურგი — ლევერკუზენი |  |
| ლაუტერნი — ბორუსია       |  |
| გლატახი — ბორუსია        |  |
| ჰანოი — ბაიერნი          |  |
| ჰილდესჰაიმი — შტუტგარტი  |  |
| ჰერტა — ვერდერი          |  |
| გაზაფხული                |  |
| შალკე — აინტრაქტი        |  |
| ჰერტა — ბორუსია          |  |

| საღმისო პითარება |   |   |   |   |       |    |
|------------------|---|---|---|---|-------|----|
| შტუტგარტი        | 6 | 4 | 2 | 0 | 6:0   | 14 |
| ლევერკუზენი      | 6 | 4 | 1 | 1 | 14:6  | 13 |
| ვერდერი          | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5  | 13 |
| ვოლფსბურგი       | 6 | 4 | 0 | 2 | 14:12 | 12 |
| ბაიერნი          | 6 | 3 | 2 | 1 | 15:10 | 11 |
| ჰანოივერი        | 6 | 3 | 2 | 1 | 14:12 | 11 |
| დორტმუნდი        | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6  | 10 |
| მიუნხენი         | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7   | 10 |
| ფრაიბურგი        | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | 9  |
| ბოხუმი           | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8   | 8  |
| შალკე            | 6 | 1 | 3 | 2 | 7:10  | 6  |
| ჰანოი            | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11  | 5  |
| ლაუტერნი         | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8   | 4  |
| ჰერტა            | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8   | 4  |
| აინტრაქტი        | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11  | 4  |
| გლატახი          | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10  | 4  |
| ჰამბურგი         | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13  | 4  |
| კიოლნი           | 6 | 1 | 0 | 5 | 6:10  | 3  |

ბოლიში, თქვენ გელოთ მარცხი — ჩვენებურად ასე სარკაზმულად დასაძებნენ „მიუნხენი 1860“ — „შტუტგარტის“ მატჩზე, მარცხისთვის კი ცხადია, „შტუტგარტს“ წირავენ — ფელიქს მაგათის გუნდს რომ ვერ არ წაუგია ამ ბუნდესლიგაში და გოლიც არ გაუშვია.

მოკლედ, ნახე უნდა გატყდეს, მაგრამ როგორ? „შტუტგარტს“ ყველა ჯანზე ჰყავს, „1860“ კი ტრავმირებულია შეთხლებული. ერთიცაა — „ციხფერ ლომებს“ ძალიან

უჭირთ „შტუტგარტთან“ თამაში — „ოლიმპიაშტადიონზე“ ამ გუნდისთვის 1997 წლის მერე ვერ მოუგია.

პრობლემები მოძალდება მერე მიუნხენურ გუნდ „ბაიერნსაც“. ოტმარ ჰიფელდმა მოკლედ მოჭრა: „როსტოკში მოგება იოლი ამოცანა სულაც არაა“. მართლაც, „ბაიერნს“ ტრავმების გამო არ ეყოლება ვილი სანიოლი, სებასტიან დაისლერი, იენს იერემისი და მეჰმეთ შოლი. რაც შეეხება ზე რობერტოს, ის დისკვალიფიცირებულია, ხოლო კლაუდიო პიზაროს და ოუენ ჰარგრევისის თამაში სათუთა, რადგან გრიპი ბოლომდე ვერ მოუშუშებიათ. სამაგიეროდ, მოსალოდნელია „ბაიერნის“ არგენტინელი ახალშენაძენის მარტინ დემიკელისის დებიუტი — მას ბუნდესლიგა და ევროტურნირები ვერ არ დაუჭაშნიკებია.

თუ „კაიზერსლაუტერნი“ დღეს ჩაფლავდება, ვერც გერეტს ვინმელო მადლობა უთხრან და გაუშვანო — უეფას თასზე გერეტსელებმა ჩეხურ „ტეპლიცასთან“ 1:2 წააგეს და ბუნდესლიგაშიც ვახირობენ.

„ლაუტერნი“ უფრო ჯაგლაგი „გლატახი“ ახალი მწვრთნელის ხელში პირველ მატჩს თამაშებს — ჰოლგერ ფახის დამოძღვრული გლატახური „ბორუსია“ იმ „ბოხუმს“ უმასპინძლებს, რომელსაც გერმანიის ნაკრების წევრი პოლ ფრაიერი არ ეყოლება — ეს მარჯვენაფლანგელი დაშავებულია.

ბოლოადგილოსანი „კიოლნი“ გამოჯანმრთელებული მცველებით, მუსტაფა დოგანი-თა და მოსე სიკონერით დაუხვდება ბრემენის „ვერდერს“ — „მუსიკოსები“ გოლის გატანას კვლავაც აილტონისგან ელიან, ვინაი უკვე ხუთი ბურთი შეუგდია ამ სეზონსაც.

ძალიან რთული გასვლა აქვს იაშვილ-ციტიციშვილის „ფრაიბურგს“, მაგრამ ფოლკერ ფინკეს გუნდის მეტოქეს საკუთარი პრობლემები აქვს — კრისტოფ მეკელდერი, ტორსტენ ფრინგსი, ტომას როსიციკი და მარსიო ამოროზო — ამ ხალხის გარეშე

# არასოდეს თქვა არასოდეს

## ბაიერნის სიმღერა: ავადა ვარ, ავადა



ერეკ გერეტსი

„დორტმუნდს“ ნებისმიერ მეტოქესთან გაუჭირდება. ნურც იმას დაევიწყებთ, რომ წინა ტურში ფინკელმა „შალკეს“ მოუგრიხეს კისერი.

გულზნერებში ფავორიტი „შალკე“, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება „აინტრაქტს“ მუხლმკვიანი მცველი იენს კლერი და ფურთხებისთვის დისკვალიფიცირებული ალბანელი ნა-

ხეარმცველი ერენ სკელა არ ეყოლება. ტურის მთავარი მატჩი კი „ვოლფსბურგის“ და „ლევერკუზენის“ შერკინება ფოლკსვაგენლებმა ორი ტურის წინ შინ „ბაიერნი“ დაიბრყვეს დანარჩენზე სამშაბათს, ტურის მიმოხილვაში ვილაპარაკოთ, მაგრამ ის როგორ არ ვთქვით, რომ ბუნდესლიგურ მატჩებში „ლევერკუზენს“ ვოლფსბურგში არასდროს არ მოუგია.

# ესპანეთში

თაღო ხომარიანი

## ისტორიის პრობნოზი: ძალიან ბევრი გოლი

ესპანურ პრიმერაში დღეს და ხვალ დიდი ბრძოლება მოსალოდნელი. განსაკუთრებით გამორჩეული ორი იქნება. „მესტალიაზე“ პრიმერადივიზიონის მესამეადგილოსანი „ვალენსია“ მასზე ოდენ ბურთების შეფარდებით აღმატებულ „რეალს“ უმასპინძლებს, ხოლო ცხრილის ბოლოში მყოფი, მოგებაზე მეოცნებე მადრიდული „ატლეტიკო“ უეფას თასზე „პუხოვთან“ დასანანი ფრით შეცბუნებულ „ბარსელონას“ შეებრძოლება. რაფა ბენიტესის „ვალენსია“ და მადრიდის „რეალი“ პრიმერას ამჟამინდელ ლიდერს, გალისიურ „დეპორტივოს“ კვალდაკვალ მიჰყვებიან და თუ ხავიერ ირურეტას გუნდმა პამპლონაში წლევანდელი ჩემპიონატის გამოცანად წოდებული „ოსასუნა“ ვერ დაამარცხა, „მესტალიას“ მატჩში გამარჯვებული უკვე პირველ ადგილზე გადაინაცვლებს (თუ, რა თქმა უნდა, ტიტულიანი მეტოქეები ოდენ დაზავებით არ დაკმაყოფილდნენ). პრიმერას თაოსნების ჯახს განსაკუთრებულ ინტრიგას ვალენსიაში და ბუნდესლიგის ანტიმადრიდული კანწყობილება ანიჭებს (კასტილიელთა საოცნებო აიალამ „ლამპურებთან“ კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი, ტრავმებიც მოიჩინა და მისივე თქმით, კვირუმის შეგირდებთან სამომარ დაპირისპირებას მოუთმენლად ელის). „რეალი“ საკარაულოდ ორ მთავარ კაბალი-

ეროს — რაულსა და ზიდანს მოისაკლისებს (ტრამპათა გამო), რაც სამეფო გუნდს ფრიალ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებს. გარდა საპრიზო ჭიდილისა, ეს შეხვედრა მადრიდელთა ლუიშ ფიგუესა და რობერტო კარლოსისთვის სხვა რამითაც იქნება აღსანიშნავი. ბრაზილიელი სუპერმცველი ესპანეთის ჩემპიონატში თავის რიგით 250-ე მატჩს ჩაატარებს, ხოლო ლუზიტანი ექსტრასელონელი „რეალის“ მაისურით საიუბილეოდ — მესამეჯერ იბურთავენ.

„ვიცსენტე კალდერონზე“ კი ჩვეული კატალონურ-კასტილიური სპექტაკლი ჩატარდება, ალბათ ტრადიციულად გოლების წვიმის თანხლებით. თავად განსაჯეთ, 2002-03 წლების პრიმერა, „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 3:0, 99-2000 — „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 0:3; 98-99 — „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 1:1 („უცნაური“ გამონაკლისი); 97-98 — „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 5:2; 96-97 „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 2:5 და 95-96 „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 3:2. მოკლედ, „თეთრ-წითლებთან“ კატალონების სტუმრობისას არც ერთი მეტოქის კარი მშრალად არ დარჩენილა. ფრანკ რაიკარდის მოწაფენი ამ ეტაპზე ცხრილის მე-5 ადგილს სჯერდებიან და თუ „ატლეტიკოს“ 3 ქულას წაართმევენ, ეგებ მერე ადგილზეც აღმოჩნდნენ. მადრიდელთა მთა-

ვარი საზრუნავი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისაა, რომ სახიფათო ფსკერს რაც შეიძლება მალე დააღწიონ თავი. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით ითამაშებს და ტრიბუნებზე შეკრებილ ინჩასებიც ალბათ კიდევ ერთი ბრწყინვალე მატჩის მომსწრე გახდება.

გარდა ამ შეხვედრებისა, ერთი ძველთაძველი ბასკური დერბიც აუცილებლად უნდა ვახსენოთ. „სან მამესი“ იქაური „ატლეტიკოსა“ და „რეალ სოსიედადის“ ომის სარბიელი იქნება. ეს თანამომძენი ერთმანეთს პირველად 1929 წლის 10 თებერვალს დასჯახებიან და მათი ყოველი „პაემანი“ ჯოჯოხეთური დაძაბულობით გამოირჩეოდა. გამონაკლისი ალბათ არც წლევანდელი მატჩი იქნება და ბასკებიც დარჩნენ მსოფლიოს ტრადიციულად შინაომის „ჩინებულ მაგალითს“ უჩვენებენ.



ლუიშ ფიგუ მესე „რეალი“ მატჩისთვის ემზადება

| V ტური               |  |
|----------------------|--|
| დღის                 |  |
| ოსასუნა — დეპორტივო  |  |
| სელტა — ვალიადოლიდი  |  |
| ბილბაო — სოსიედადი   |  |
| ვალენსია — რეალი     |  |
| გაზაფხული            |  |
| ალბასეტი — ბალიარკა  |  |
| ატლეტიკო — ბარსელონა |  |
| ესპანოლი — ბალაია    |  |
| რასინგი — ვილიარვალე |  |
| სამოსია — მურსია     |  |
| სარაგოსა — ბატისი    |  |

| საღმისო პითარება |   |   |   |   |      |    |
|------------------|---|---|---|---|------|----|
| დეპორტივო        | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1  | 12 |
| რეალი            | 4 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 10 |
| ვალენსია         | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1  | 10 |
| სოსიედადი        | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2  | 8  |
| ბარსელონა        | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3  | 8  |
| ოსასუნა          | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2  | 7  |
| ვალადოლიდი       | 4 | 2 | 1 | 1 | 7:9  | 7  |
| ვილიარვალე       | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3  | 6  |
| ბეტისი           | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4  | 5  |
| სევილია          | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4  | 5  |
| რასინგი          | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3  | 5  |
| ბილბაო           | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5  | 4  |
| მალიორკა         | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7  | 4  |
| სელტა            | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5  | 3  |
| მურსია           | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7  | 3  |
| სარაგოსა         | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6  | 3  |
| ატლეტიკო         | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5  | 3  |
| ესპანოლი         | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8  | 2  |
| მალაგა           | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5  | 1  |
| ალბასეტი         | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8  | 0  |

# RIVALDO BASTA!

მორჩა! გუშინ ყველაფერს საბოლოოდ დაესვა ნერტილი. ევროპის საკლუბო ჩემპიონ „მილანის“ და ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონის რივალდოს გზები გაიყარა, უფრო სწორად, „როსონერის“ ხე-

ლმძღვანელობამ თავად დაურღვია ვიქტორ ბორბას კონტრაქტი მისივე თხოვნით. უკვე გაუქმებული ხელშეკრულებით, რივალდო „მილანის“ ფეხბურთელი 2005 წლის ივნისამდე უნდა ყოფილიყო

სიტყვის კაცი ყოფილა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, რივალდო თუ თავად გეტხოვს, მასთან კონტრაქტს გავწყვეტო. ბრაზილიელი დღეიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და მის მსურველ კლუბს „მილანისთვის“ საკომპენსაციო თანხის გადახდა აღარ მოუწევს.

რივალდო „მილანის“ გაყრის ამბავი გუშინ მილანელის საწვრთნელი ბაზის საპრესკონფერენციო დარბაზში გაცხადდა. ჟურნალისტებს მოსალოდნელი მოულოდნელობა აღრიანო გალიანმა, რივალდომ და მისმა თანამემამულე ლეონარდომ აუწყეს. მანამდე კი, მილანელის თვით სილვიო ბერლუსკონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი და „მილანის“ პრეზიდენტი სტუმრობდა.

„ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რივალდოს მილანური ოდისეა დასრულებულია. სამწუხაროდ, კლუბსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ „მილანი“ რივალდოს მადლობელია. გუნდმა გასულ სეზონში მასთან ერთად მოიგო ორი ტიტული.


ევროპის ჩემპიონთა თასი და იტალიის თასი ისტორიამა შესული, ისევე როგორც რივალდო ვიქტორ ფერეირა ბორბა“ — ადრიანო გალიანის მონოლოგი გულის ამჩუყებლად ჟღერს. თანაც ჟურნალისტებმა შენიშნეს, ვიცე-პრეზიდენტი სახერხული რომ ლაპარაკობდა, გაბრაზებული იერით და მიზეზი ჰკითხეს. „როგორ არ გავბრაზდები, როცა შენს გუნდს დიდი ფეხბურთელი ტოვებს. თქმა არ უნდა, რივალდო თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული სუპერვარსკვლავია, თუმცა „მილანის“ ფილოსოფიაა ასეთი — თუ ფეხბურთელი ჩვენთან თავს კომფორტულად ვერ გრძნობს, ძალით არავის ვაკავებთ“ — ასეთი იყო პასუხი.

მერე რივალდოც ალაპარაკდა, ლეონარდოს დახმარებით მან თქვა, რომ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვეტილება თავად მიიღო, რომლის სისწორეში ეჭვიც არ ეპარება: „არავის ვადანაშაულებ, პირიქით, ყველას დიდ პატივს ვცემ და მათი მადლობელიც ვარ. ბერლუსკონი, გალიანი, ანელოტი, თა-

ნაგუნდლები, ტიფოზები — ეს ის ხალხია, ვისთან ვგვრდით ყოფნაც ძალიან მსურდა და მსიამოვნებდა. პირიქით, ბოდიში მინდა მოუხადო განსაკუთრებით ტიფოზებს, რომელთაც ჩემი დღემდე სჯეროდან და რომელთაც ნამდვილი რივალდო, რომელიც სასწაულებს სჩადიოდა „ბარსელონას“ თუ ბრაზილიის ნაკრებში, ვერ იხილეს. ესეც რომ არა, მე „მილანის“ მაისურით მოვიგე ყველასთვის სანუკვარი ევროპის ჩემპიონთა თასი.“

